

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №35030210/1

Бр. 03-9081/
31.12.2014 год.
С К О П Ј Е

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“), ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144, საიდენტიფიკაციო კოდი 202178927, სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გაიოზ თალაკვაძის სახით და „Alkaloid AD Skopje“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), მაკედონია, ქ. სკოპიე, 1000, ალექსანდრე მაკედონელის ქ. N12, საბანკო დეტალები: Acc:25730522-63 „Komercijalna Banka AD“, სვფტი: KOBS MK 2X ანგარიშის ნომერი: MK07300701000005690, წარმოდგენილი მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ჟივკო მუკაეტოვის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო პროგრამის - „ნარკომანია“, ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში, 2015 წლის ასიგნებების გათვალისწინებით, მეთადონის ჰიდროქლორიდის (აქტიური ნივთიერება - მეთადონი; CPV კოდი - 33600000) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესასყიდი სამკურნაო საშუალების საერთო რაოდენობა: 23 000 (ოცდასამი ათასი) გრამი აქტიური ნივთიერება მეთადონი, რაც შეესაბამება 25 556 (ოცდახუთი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტი) ცალ 100 მლ. ფლაკონ მეთადონის ჰიდროქლორიდს (ერთი ფლაკონი 10 მგ/მლ.).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 54 945,4 (ორმოცდათვრამეტი ათას ორას სამოცდაშვიდი ევრო და 40 ევროცენტი) ევრო.

3.2 საქონლს ერთეულის ღირებულება შეადგენს - 1 ფლაკონი 10მგ/მლ. 100 მლ. - 2,15 (ორი ევრო და 15 ევროცენტი) ევრო.

3.3. მითითებული ფასი მოიცავს საქონლის მიწოდების პირობით ყველა დანახარჯს თბილისამდე CIP პირობით (პორტალი თბილისის აეროპორტი - აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) Incoterms-2000-ის შესაბამისად, ასევე შეფუთვის, მარკირების, დაზღვევისა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. კონტროლი განხორციელდება პერიოდულად საქონლის მიღებისას საქონლის განთავსების ადგილას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მოსაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ვარგისიანობის ვადების, ჰიგიენური ნორმების და მოწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

5. შეფუთვა

5.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებამდე პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში. რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება ტრანსპორტირებისას, შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.

1. Contracting Parties

1.1 On one side the LEPL – Social Service Agency (hereafter referred as buyer), Tbilisi, Tsereteli Avenue #144, identification code 202178927, represented by Mr. Gaioz Talakvadze, a.i. Director of the Agency, and on the other side „ALKALOID AD Skopje“ (hereafter referred as supplier) blvd. Aleksandar Makedonski 12, 1000 Skopje, Republic of Macedonia, banking details: Acc:25730522-63, Bank:Komercijalna Banka AD, Kej Dimitar Vlahov 4, 1000 Skopje, IBAN:MK07300701000005690, SWIFT CODE:KOBS MK 2X, represented by Mr. Zhivko Mukaetov, CEO are concluding contract (hereafter - the contract) on the following:

2. Subject of the contract

2.1 State procurement of methadone hydrochloride (active substance – methadone; CPV code – 33600000), envisaged in the assignments of the year 2015 of the state program – “Drug Addiction”, component of substituting pharmacological product procurement.

2.2 Total quantity of remedy: 23 000 (twenty three thousand) grams of active substance of methadone, which corresponds to 25 556 (twenty five thousand five hundred fifty six) units of 100 mil. vial methadone hydrochloride (one vial - 10 mg/mil).

3. Total cost of the contract

3.1 Total cost of the contract amounts to 54 945,4 (fifty-four thousand nine hundred forty-five euros and 40 eurocents) euros.

3.2 Unit price of the product amounts to – 1 vial 10mg/mil. 100mil. – 2,15 (2 euros and 15 eurocents) euros.

3.3 Price indicated includes all costs with the condition of delivering the product to Tbilisi with CIP condition (portal Tbilisi airport – airport area) according to incoterms – 2000, also costs of packaging, insurance and other associated costs.

4. Control of fulfilment of the contract terms

4.1 Control of fulfilment of the contract terms will be conducted by the inspection group established by the buyer. Control will be conducted periodically upon receipt of the product at the product displacement area; control also implies fulfillment of the contract terms, as well as control of protection of norms of production of the deliverable, its packaging, expiration date, hygiene, and terms and norms of the delivering.

5. Packaging

5.1 Deliverable product has to be packed according to the corresponding norms.

5.2 The supplier bears responsibility in front of the buyer for any kind of damage of the product that had occurred prior to delivery. The supplier has to ensure secure transportation

5.3. თითოეული ყუთი უნდა იყოს დანომრილი და მათზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაციები: მიმწოდებლის დასახელება და მისამართი, შემსყიდველის დასახელება და მისამართი, მიმღების დასახელება, ტვირთის რაოდენობა, პროდუქციის დასახელება, ინფორმაცია გადატვირთვისას ტვირთის გაფუჭების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელი პირობების შესახებ.

6. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება პირობით: CIP (პორტალი თბილისის აეროპორტი - აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) Incoterms-2000-ის შესაბამისად

6.2. საქონლის მიწოდების დღედ ჩაითვლება თარიღი (შემდგომში - „მიწოდების დღე“), როდესაც მიმწოდებელმა უზრუნველყო საქონლის მიწოდება ამ მუხლის 6.1. პუნქტის შესაბამისად.

6.3. შემსყიდველი თვითონ უზრუნველყოფს მოწოდებული საქონლის განბაჟებისათვის საჭირო პროცედურებს.

6.4. მოსაწოდებელი საქონლის მთლიანი რაოდენობა მოწოდებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 2015 წლის 1 მაისისა.

6.5. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება განხორციელდება ერთჯერადად ამ მუხლის 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემდგომში „მიღების დღე“). საქონლის მიღების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განხორციელდება მოწოდებული საქონლის შემოწმება, რომელსაც 6.2 პუნქტში დაფიქსირებული მიწოდების დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელებს შემსყიდველის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები), ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი. საქონლის მოწოდებისას, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.5.1. დეტალური ინვოისი (რომელშიც მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობა და შესაბამისი ერთეული გამოსახული იქნება ევროში)

6.5.2. შეფუთვაში შემავალი საქონლის ჩამონათვალი;

6.5.3. ანალიზის სერთიფიკატი;

6.5.4. წარმოშობის სერთიფიკატი;

6.5.5. ავია ზედღებულება (საშროების შემთხვევაში).

6.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალების მოწოდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით.

6.7. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს ამ მუხლის 6.5. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ის ვალდებულია ამავე ვადაში მიაწოდოს მიმწოდებელს დასაბუთებული უარი საქონლის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

6.8. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონლის წუნდების (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამო) შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. საქონლის ვარგისიანობის ვადა

7.1. მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა მიწოდების დღისათვის უნდა იყოს არანაკლებ 12 თვისა.

of the product and protection from possible damage and spoiling.

5.3 Each box has to be numbered and the following information has to be inscribed vividly on it: name of the supplier and its address, name of the buyer and its address, name of recipient, quantity of cargo, name of product, information on how to avoid damage or spoiling of the product during reloading.

6. Terms of supply, receipt and delivery of the product

6.1 The supply of the product will be carried out according to the term: CIP (portal Tbilisi airport – airport area) Incoterms – 2000.

6.2 The day of delivery will be the date (hereafter – day of delivery) when the supplier provides the delivery according to the terms indicated in the present article, point 6.1.

6.3 Buyer will carry out procedures for custom clearance of the product delivered.

6.4 The total quantity of the deliverable product has to be delivered no later than May 1st, 2015.

6.5 Receipt of the product will be carried out by the buyer one-off on a date indicated in the present article, point 6.4, with the signing act of delivery and acceptance (hereafter – date of receipt). After the finalization of the receipt of the product the act of delivery and acceptance has to be signed. Before signing the act of delivery and acceptance the delivered product will be checked during maximum 5 (five) calendar days from the day of delivery indicated in the point 6.2 by the inspection group specially established by the buyer according to the point 4.1. From the side of the buyer, the act of delivery and acceptance is signed by the authorized person (persons), and from the side of supplier the act is signed by the person authorized by the supplier:

6.5.1. Detailed invoice (where the quantity of the product envisaged by the contract and the corresponding unit will be represented in euros)

6.5.2. List of products in the package;

6.5.3. Certificate of analysis;

6.5.4. Certificate of origin;

6.5.5. Air Way Bill (AWB) (in case needed).

6.6. The supplier has to ensure delivery of the product with the strictest protection of the regime temperature of storage.

6.7 In case the buyer refuses to sign the act of delivery and acceptance during the term indicated in the point 6.5 of the present article, the buyer, during the same period, is obliged to present to the supplier the proven refusal for not accepting the product.

6.8 After receiving the written notification about the defective product (not in accordance to the terms indicated in the contract) the supplier is obliged to substitute the defective product no later than 45 (forty five) calendar days from the receipt of the written notification, without any additional charges of the buyer.

7. Date of expiration of the product

7.1 The date of expiration of the deliverable product has to be not earlier than 12 month from the day of delivery of the product.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ევროში, მიღების დღისათვის (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ევროს მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა (ცვლილება)

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, წანამდებარე ხელშეკრულების 6.8 პუნქტითა და მე-11 მუხლით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. საქონლის მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის შეფასებად პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების (დროულად არ მოწოდებული საქონლის ღირებულების) 0,1%-ის ოდენობით.

11.2. ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გაანგარიშებით, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ მთლიანობაში არა უმეტეს 10%-სა. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8. Payment

8.1 The mode of payment is a bank transfer.

8.2 The payment will be carried out in EURO currency, according to the exchange rate of euro on the delivery day (date when the act of delivery and acceptance is signed by the both parties) set by the National Bank of Georgia, during during 10 (ten) working days after signing the act of delivery and acceptance.

9. Revision of the contract terms and prices (change)

9.1 No deviation or change in the terms of the contract is acceptable except of the written amendment signed by the both parties.

9.2 In case, the need for change of the terms of the contract arises, because of the unpredictable reasons, the initiator of the amendment is obliged to inform in writing the other party.

9.3 Any change, which will trigger increment of the cost of the contract or degrades the terms for the buyer is inadmissible, except of the cases envisaged by the civil code, article 398.

9.4 Any changes in the terms of the contract has to be composed as an agreement, between the authorized representatives of the parties, which will be counted as an integral part of the contract.

10. Responsibilities of the parties

10.1. Buyer is authorized to break up the contract in case of impairment of the quality of the product and/or degradation of terms of delivery taking into consideration terms envisaged in the point 6.8 and article 11 of the present contract.

10.2. Buyer is obliged to ensure transfer of the cost of the delivered product to the bank account of the supplier in a timely manner.

10.3. Supplier is authorized to demand from the buyer timely transfer of the cost of the delivered product to its bank account number.

10.4. Supplier is obliged to ensure provision of the buyer with the product envisaged by the present contract according to the set terms.

11. Responsibilities of the parties in case of non fulfilment of the terms of the contract

11.1. In case of breach of the terms of delivery, the supplier has to pay 0.1% of the cost of the obligation (cost of the product not delivered in set terms) for each day after set delivery day as a penalty.

11.2. In case of breach of the term of the payment indicated in the point 8.2, the supplier is authorized to penalize the buyer in the amount of 0.1% of the total amount of the sum which is not transferred in the due time for each day of the delay, but the total penalty must not exceed 10%. This right can be applied by the supplier according to its will as it is not a responsibility.

11.3. Payment of penalty does not release the supplier from the fulfilment of its main responsibilities.

11.4. In case total amount of the penalty for breach of the term of delivery surpasses 2% of the unfulfilled obligation the parties

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შესრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდით.

12.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

12.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

12.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის სამხარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

12.2.3. ეპიდემიები;

12.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო, ან საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

12.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებამდე.

13.3. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს ურთიერთვალდებულებების შესრულებით ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს

have right to break up the contract.

12. Force-majeure

12.1 No party of the contract is responsible for and is released from such a responsibility for not performing or not sufficiently (partially) performing the contract due to the causes that are outside of the control of the parties; the occurrence of which are beyond the responsibility of the parties and they could not be aware of or foresee it at the moment of signing the contract.

12.2. Force majeure events are the following (but not only):

12.2.1. Natural disasters (fire, flood, earthquake, storm and other);

12.2.2. Declared and non-declared war, civil riot, any type of armed actions, emergency state;

12.2.3. Epidemics;

12.2.4. Blockage or any kind of economic embargo or abrupt decrease of budgetary assignments.

12.3. State of force majeure has to be established by the competent institution.

12.4. The party has to inform the other party about the occurrence of the force majeure event by any available tool of communication (telephone, post, fax, e-mail, courier and other).

12.5. Existence of the force majeure event does not abolish contract automatically. The parties have responsibility to determine correlation of the contract to the force majeure event.

12.6. As soon as the force majeure events are ceased the parties resume fulfillment of the responsibilities bound by the contract.

12.7. The period of fulfillment of the responsibilities is paused during the force majeure event, in case the parties do not agree on other term.

12.8. The party is not released from the responsibility in case the force majeure event is caused by its fault, or the fulfillment of the responsibility could have been done during reasonable timeframe before the occurrence of the force majeure event.

13. Termination of the contract

13.1. The contract can be terminated in the cases envisaged by the present contract, also on the bases of mutual cooperation between the parties.

13.2. In case envisaged in point 13.1 of the contract the party has to inform other party about the decision in writing no later than 20 calendar days prior to execution of a mutual resolution for termination.

13.3. Termination by mutual resolution does not release the party from the fulfillment of the obligations of the contract until the contract is terminated.

13.4. The contract can be terminated in case fulfillment of the responsibilities by both parties or in other cases stipulated by the legislation of Georgia which are in force.

14. Disputes and resolutions

14.1. The disputes raised between the parties can be resolved through negotiations between them.

14.2. If the parties cannot resolve the dispute through negotiations any party can apply to the court in accordance to the rules established by the legislation.

სასაბარტლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები ხელშეკრულებას ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

15.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

15.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან.

15.7. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

15.9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ სოციალური მომსახურების

სააგენტო

საიდენტიფიკაციო კოდი №202178927

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.#144

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გაიოზ თალაკვაძე

„Alkaloid AD Skopje“

მაკედონია, ქ. სკოპიე, 1000,

ალექსანდრე მაკედონელის ქ. N12,

საბანკო დეტალები: Acc:25730522-63

„Komerijalna Banka AD“,

სვიფტი: KOB MK 2X

ანგარიშის ნომერი: MK07300701000005690

ჟივკო მუკაეტოვი

მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

15. Other terms

15.1. The parties exercise principles of mutual respect and the wish to deepen cooperation.

15.2. The parties are responsible to take care of each other's reputation and dignity.

15.3. The parties are responsible not to disclose confidential information of other party, which they obtain during cooperation.

15.4. The parties of the contract will not announce any information about any kind of violations during fulfillment of the terms of the contract or its non-fulfillment or inability of its fulfillment and etc. if the case is not studied mutually and corresponding facts are not proved.

15.5. In case the disclosure of the information is requested by the law or any act adopted by any governmental institution on the legal bases the fact of disclosure cannot be considered as the breach of confidentiality.

15.6. The present contract is composed in four copies in Georgian and English languages. Each copy has equal legal force. Two copies of the contract are kept by the buyer and two copies are kept by the supplier.

15.7. The present contract is composed according to the Georgian legislation and will be interpreted according to the Georgian legislation. The issues not envisaged in the present contract are regulated according to the Georgian legislation.

15.8 All changes to the present contract are in force in case they are composed in written form and are signed by the plenipotentiary representatives of the parties.

15.9 The contract is in force until the end of January 31st, 2016.

16. Legal addresses and requisites of the parties

LEPL Social Service Agency

identification code 202178927

144, Tsereteli Ave. Tbilisi,

Stop gap Director

Gaioz Talakvadze

„ALKALOID AD Skopje“

blvd. Aleksandar Makedonski 12,

1000 Skopje, Republic of Macedonia

banking details: Acc:25730522-63,

Bank:Komerijalna Banka AD,

Kej Dimitar Vlahov 4 1000 Skopje

IBAN:MK07300701000005690,

SWIFT CODE: KOB MK 2X

Mr. Zhivko Mukaetov

CEO

/ date 14.01.2015